მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ
ᲨᲕᲐᲢᲘ
№1 (412)
(5776)
2016

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ „ᲛᲐᲨᲐᲕᲘᲡ“ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲖᲔ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ისრაელის ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი პარსკევს, 15 იანვარს გამგზავრების წინ ქართველი ექსპერტების ჯგუფს შეხვდა. ჯგუფი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ექვსი, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრო-ცენტრის ერთი და სამეგრელოს აგრო-სახლის ერთი წარმომადგენლისგან შედგება.

ქართველი ექსპერტები ისრაელში ორ კურსს გაივლიან („Agricultural Extension Methods & Tools“, „Postharvest Physiology, Pathology and Handling of Fresh Commodities“). მსგავს პროგრამებში ქართველი სპეციალისტების მონაწილეობა ისრაელის საელჩოსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსულტაციების შედეგი და კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ორ ქვეყანას შორის სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობისა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში „მაშავის“ 115 კურსი და კონსულტაცია ჩატარდა, რომელთა მიზანი სოფლის მეურნეობის განვითარება და „train the trainers“ პროგრამების დანერგვა იყო ისეთ დარგებში, როგორებიცაა ირიგაცია, ბოსტნეულის მოყვანა საობურებსა და ღია გრუნტში, მერძევეობა და ისრაელის ახალი ტექნოლოგიები. შარშან „მაშავის“ მიერ 600 ქართველ ექსპერტს ჩაუტარდა ტრენინგები. წლეულს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ახალი პროგრამებია დაგეგმილი.

შეხვედრის განმავლობაში ელჩმა ფუქსმა ქართველ ექსპერტებს „მაშავის“ სამომავლო გეგმები გააცნო (გრანტების პროგრამა მცირე პროექტებისთვის, რომლის ფარგლებშიც 2 შემოთავაზება უკვე განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა). მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობაზეც ისაუბრეს. ელჩი ფუქსი დარწმუნებულია, რომ სამეცნიერო–კვლევითი და საკონსულტაციო–საინფორმაციო ცენტრების გახსნა თანამედროვე ცოდნის გავრცელებისკენ წინგადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ დონეზე.

ისრაელის ელჩმა დასძინა, რომ ისრაელს საქართველოსთვის დიდი ინფორმაციის გაზიარების საშუალება და სურვილი აქვს. სწორედ ამიტომ, იგი იმედს იტოვებს, რომ მიმდინარე წელს ისრაელსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა, თუ რეგიონებში არსებულ შესაბამის უწყებებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდება.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲐᲑᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ

ცნობილმა კომპოზიტორმა და მომღერალმა ჯემალ სეფიაშვილმა შესანიშნავი კონცერტი მიუძღვნა საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II დაბადების დღეს, ხოლო ისრაელის მთავარმა რაბინმა, დავით ლაუმ ილია მეორს 83 წლის იუბილე საგანგებო წერილით მოულოცა.

„საქართველოს მთავარ პატრიარქს ილია მეორეს, მშვიდობა და კუთხევა სიონიდან-იერუსალიმიდან.

თქვენ სათავეში უდგახართ რელიგიურ სისტემას საქართველოში. დიდი გავლენა გაქვთ თქვენს საზოგადოებაზე. ბევრი თქვენში სამაგალითო პიროვნებას ხედავს, რომელიც წარმართავს და წინამძღოლობს თქვენს სამწუხოს ისე, როგორც უდიდეს სულიერ წინამძღოლს შეფფერება.

საგულდაგულოდ აღვნიშნავ განსაკუთრებულ ურთიერთობას, რაც თქვენსა და საქართველოს ებრაულ თემს შორის არსებობს. რომლებიც ისევე გაფასებენ და პატივს გცემენ. თქვენ შესძელით თქვენი გამორჩეული გზით ამაოად გაგვალაშქრათ ანტისემიტიზმის წინააღმდეგ. თქვენ მაგალითი შექმნით ყველა სათემოს გვერდიგვერდ პატივისცემით და დაფასებით ცხოვრებისა.

პირადად ჩემი, მთელი ებრაელი ერის და ისრაელის მოსახლეობის სახელით გაკურთხებთ თქვენ, რათა განაგრძოთ მთელი სამყაროს მცხოვრებთა შორის მშვიდობისა და ჭეშმარიტებისთვის თქვენი მოღვაწეობა.

იეოს ნება უფლისა და ვეღირსოთ იმ დღეებს, რომლებშიც აღსრულდება წინასწარმეტყველი ესაიას სიტყვები.

„და ისინი თავიანთ მახვილებს სახნისებად გამოჭედავენ და შუბებს – ნამგლებად. ხალხი ხალხის წინააღმდეგ აღარ აღმართავს მახვილს და ომს აღარასოდეს ისწავლიან“.

გაკურთხებ გულით და „გულის სიღრმიდან“.

ᲞᲐᲞᲘ ᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲜᲐ�გᲝᲒᲐᲨᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ

კვირას,17 იანვარს რომის პაპი ფრანცისკი რომის დიდ სინაგოგაში მივიდა. მანამ სანამ სინაგოგაში შევიდოდა, რომის პაპმა გვირგვინი დასდო სინაგოგის იმ კედედელთან, რომელზეც ჰოლოკოსტის მსხვერპლთა საპატივცემლოდ მემორიალური დაფებია გაკრული. შემდეგ პაპი ფეხზე მდგარი მიესალმა ჯამაათის იმ წევრებს, რომლებმაც საკონცენტრაციო ბანაკები გამოიარეს და ადამიანებს მოუწოდა არასოდეს არ მისცენ დავიწყებას ევროპის ებრაელთა კატასტროფა.

რომის მთავარმა რაბინმა რიკარდო დი სენიმ ეს ვიზიტი შეაფასა, როგორც კიდევ ერთი გამოხატულება კათოლიკეთა და იუდეველთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა — ეს გახლდათ რომის პაპის მესამე ვიზიტი სინაგოგაში. ორ კონფესიას შორის ურთიერთობის გაუმჯობესება დაიწყო 1986 წელს, როცა პაპმა იოანე პავლე მეორემ დიდი სინაგოგის ზღურბლს გადააბიჯა. 2010 წელს კი ამ სინაგოგაში მიბრძანდა ბენედიქტ მეთექვსმეტე.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲘᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — „ᲔᲡᲐᲘᲐᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ

ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲚᲘᲜᲢᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲘᲪᲮᲐᲙ ᲠᲐᲑᲘᲜᲘ

როგორც პორტალ „იზრუსმა“ შეიტყო ცნობილი, ბიზნესმენი და ფილანტროპი მიხეილ მირილაშვილი გახდა უაღრესად პრესტიჟული პრემიის — „ესაიას“ ლაურეატი. ეს პრემია მას კეიპტაუნში, ისრაელის ეროვნელი ფონდის „კერენ ჰა იესოდის“ მიერ გამართულ დახურულ ფორუმზე მიენიჭა. ადრე ამ პრემიის ლაურეატები გახდნენ ბილ კლინტონი, იცხაკ რაბინი, შერონ სტოუნი, ალექსანდრე მაშკევიჩი. ეს პრემია მიენიჭებათ ადამიანებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი დასდეს ისრაელის სახელმწიფოს,მსოფლიოს ებრაელობას, მთელ კაცობრიობას.

კეიპტაუნში დახურული ფორუმი დეკემბრის დამდეგს გაიმართა, მაგრამ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მოხდა ფორუმზე, არ ვრცელდებოდა. „კერენ ჰა იესოდის“ წყარომ „იზრუსს“ განუცხადა, რომ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის, ევრაზიის ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პირველი ვიცე-პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის „ესაიას“ პრემიის ლაურეატად გამოცხადება გახლდათ ფორუმის ცენტრალური მოვლენა. რომელსაც ესწრებოდნენ: გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. ამათ შორის გახლდნენ: შელდონ ედელსონი(აშშ), ერიკ სამსონი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), არონ ფრენკელი (მონაკო), ლევ ლევაევი (ისრაელი), ე. ძიანმინი (ჩინეთი) და სხვ.

აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში მიხეილ მირილაშვილი ისრაელის ეროვნული ფონდის უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდა. წყაროთა განცხადებით, მსოფლიოში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, მიხეილ მირილაშვილმა ისრაელის ეროვნული ფონდის გავლით, ებრაული პროექტებისათვის ათობით მილიონი დოლარი გაიღო. ინფორმაცია მისი ფილანტროპული მოღვაწეობის თაობაზე დახურულია, თუმცაღა, მიხეილ მირილაშვილის მეოხებით მთელ მსოფლიოში გადარჩენილი იქნა ათასობით ებრაელის სიცოცხლე, შეიქმნა ახალგაზრდობის საგანმანათლებლო პროგრამები, დახმარება აღმოეჩინა პერიფერიის ებრაულ თემებს.

„კერენ ჰა იესოდში“ პორტალ „იზრუსს“დაუდასტურეს მიხეილ მირილაშვილისათვის ამ პრესტიჟული პრემიის მინიჭება, მაგრამ ფილანტროპის პატივისცემის გამო, საჭიროდ არ ჩათვალეს გაემხილათ, თუ რა რაოდენობის ფინანსურ მხარდაჭერას უწევს იგი ამ ორგანიზაციას. მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ისრაელის ეროვნული ფონდისადმი მიხეილ მირილაშვილის მხარდაჭერა „უპრეცედენტო და მისაბაძია.“

ᲘᲥᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲒᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

იცხაკ დავიდი 70



ჩვენი ოჯახის ორივეული შვილის,
ავტორიტეტული იცხაკ დავიდის
ვუილოცავ დაბადების 70 წლისთავს

ჩემო იცხაკ,
ორმოცდაათ წელიწადზე მეტი ერთად ვიყავით ლაბორატორიის 70 წლის-
თავს. ვისარგებლებ შემთხვევით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ნიმანდის და
ერთმანეთისადმი ერთ-ერთ ასეთ საღამოს ყველა ინფორმაციის მიხედვით ყველანი ერთ-
ერთ ბოლოდ ... ეს, ეს ნაყოფიერი და ნაყოფიერი ნაბიჯებისა
ინტელექტუალური ნაშრომებისა.
სიამაყის გრძნობით ვიტყვიდი, რომ ეს ქვეყანაც ... ეროვ-
ანი ... ეროვნული ... ეროვნული ... ეს
ჩვენ ... ...

ნიჭის ზეობა

ძმაო იცხაკ (გადავწყვიტე, ებრაულ გაზეთში ასე - ებრაული ფორმით - მოგმართო)! თითქმის მთლად ტოლები რომ არ ვიყოთ, ვერ დავიჯერებდი, რომ უკვე სამოცდაათს მიუკაკუნე, დავიდ ჰამელეხის ასაკი შეასრულე. 120 წლის შესრულებასაც გისურვებ. მუდამ შემართული, ფუტკრის რუდუნებით საყვარელ საქმეს შეჭიდებული (წიგნების წერას ვგულისხმობ) ისევ ისეთი ახალგაზრდა მგონიხარ, როგორც 52 წლის წინათ ჩვენი პირველი შეხვედრისას მახსოვხარ. სხვები, ალბათ, ბევრს დაწერენ შენი არაჩვეულებრივი ნიჭიერებისა და მეცნიერული სიუხვის შესახებ, იმ შრომების სიმრავლის თაობაზე, ზოგმა რომ გზის გამკვალავის როლიც იკისრა ქართველ ებრაელთა კვლევის საქმეში, მე კი სევდანარევი და კეთილი ღიმილი მინდა მოგგვარო, ესოდენ რომ გშვენის, და ის ჩვენი შორეული ახალგაზრდობის დღეები მოგაგონო (ვაგლახ, რომ ჯეამალი აღარა გვყავს, ჩვენი მუდმივი თანაზიარი და გვერდით მდგომი).

აგვისტოსთან მიახლოებული ივლისის ერთ ჩახუთულ, უმზეო, მაგრამ ძალიან ცხელ დღეს გავიცანით ერთმანეთი. თბილისის უნივერსიტეტის (ასე სოკოებივით მომრავლებულთაგან ერთი კი არა, ერთადერთი და განუმეორებელი რომ იყო) მეორე კორპუსის დიდ აუდიტორიაში მისაღები გამოცდების წინა კონსულტაცია ტარდებოდა ქართულ ენაში. დაფასთან ფრიად სერიოზული გამომეტყველებით იდგა შუა ხანს მიტანებული კაცი (შემდეგ გავიგეთ, რომ იგი ორივე ჩვენგანისათვის საყვარელი ლექტორი პროფ. ივანე ქავთარაძე იყო) და წინადადების გასარჩევად იხმობდა აბიტურიენტებს. მსურველები არ აღმოჩნდნენ, ისევ მე გავრისკე და გავედი, შემდეგ შენ გამოგიძახა და ისე მშვენივრად პასუხობდი, კეთილი შურით შემშურდა. კონსულტაცია რომ დამთავრდა, ლექტორმა გვიხმო და ცალ-ცალკე დაგველაპარაკა. მე მითხრა, დარწმუნებული ვარ, ასეთი ცოდნით უეჭველად მოხვდები და აუცილებლად მომნახე, ენათმეცნიერებაში გამუშავებო. დაახლოებით ასეთივე რამ უთქვამს შენთვისაც. ცოტა უფრო იმედმოცემულნი გამოვედით გარეთ და დიდხანს ვისაუბრეთ, ვინა ვართ და რას ველით. ასე დაიწყო.

ორივეზე, მართლაც, მოვხვდით უნივერსიტეტში, შენ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, მე კი ფილოლოგიურზე. ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, შინაც ვეწვეოდით ხოლმე. ჩემთვის დაუვიწყარია შენი პატარა ბინა მაშინდელი ენგელსის ქუჩის 5 ნომერში, რომელიც თითქოს უცბად დიდდებოდა დედათქვენის თბილი ღიმილით, როცა ჩვენ შემოვცვივდებოდით. ყოველი საღამო შენთან ზეიმი იყო პოეზიისა, მახვილსიტყვაობისა, ცოდნისა. რა თქმა უნდა, შენ იყავი მთავარი ვარსკვლავი. შემდეგ იყო მუდამ მოსაგონარი ერთობლივი დასვენება ქობულეთში, ბაკურიანში.

მაგრამ შენ არა მხოლოდ ისვენებდი და საღამურ შეკრებებში ატარებდი დროს - გამუდმებით სწავლობდი, მუშაობდი ცოდნის გაღრმავებაზე. მალე ყველასათვის გახდა ცნობილი, რომ შენ ჭეშმარიტი პოლიგლოტი ხარ, ათეულობით ენა იცი. როგორც ჩვენში იტყვიან, ეს თავისით არ მოსულა. მე ვარ მოწმე, რომ ყოველ წუთს იყენებდი ენებში სამეცადინოდ: ზოგიერთი ლექციი ერთად გვეკითხებოდა, ასე იყო, მაგალითად, ე. წ. ისტორიულ მატერიალიზმში (სულ ფრიადები მქონდა ჩანაწერებში, მაგრამ დღემდე ვერ გამიგია, რას გვასწავლიდნენ ამ საგანში და რატომ). ცუდი ის იყო, რომ ყოველკვირეულად სემინარები უნდა მოგვემზადებინა, ლექტორი მაინც და მაინც ჩვენს რვეულებს ამოწმებდა, გვეწერა თუ არა დავალება (მაშინ, როცა ბევრ ჩემს თანაკურსელს ერთხელაც კი არ დაუწერია). ვისხედით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მესამე სართულზე ან უკვე არარსებულ ბიბლიოთეკაში და ვწერდით ამ სემინარებს. ერთხელ მითხარი, რა სულელური დროის კარგვით ვართ დაკავებულნი. გამოგიცხადე, მოდი, მე ძველ ქართული ასოებით დავწერ და ამაში მაინც გავიხაფები-მეთქი. გადასარევია, მაშინ მე სხვადასხვა ენაზე დავწერო. მახსოვს, პირველად პორტუგალიურად დაწერე, მე კი ასომთავრულით. ლექტორმა შეამოწმასაგი და, ეტყობა, არც დაუნახავს რამე, არაფერი უთქვამს. გავთამამდით და მეორედ მე უკვე ნუსხურით დავწერე და შენ, მგონი, ძველბერძნულად. ამჯერად უკვე იფეთქა ლექტორმა, თქვენ ჩემს საგანს მასხრად იგდებთ, დეკანთან წაგიყვანთო. მეორე დღეს მართლა მიმიყვანეს დეკანთან. ამ უკანასკნელმა, ცხადია, იცოდა ძველი ქართული და ლექტორს უთხრა, აქ ნამდვილად თქვენი სემინარი წერია და რა მნიშვნელობა აქვს, სტუდენტი რომელი ასოებით დაწერსო. ამ მარცხის შემდეგ ლექტორმა შენს დეკანთან შენი დაბარება გადაიფიქრა და გადარჩი უაზრო ახსნა-განმარტებებს (სხვათა შორის, მერე შემოგვირიგდა ეს ლექტორი და მე სულ უკითხავად დამიწერა ფრიადი და შენც ზუსტად ორ წუთში გამოგიშვა გამოცდიდან ასევე ფრიადით).

დავამთავრეთ უნივერსიტეტი და ჩვენი გზები ოდნავ დაშორდა - შენ ისტორიის ინსტიტუტში დაიწყე მუშაობა, მე კი უნივერსიტეტის ასპირანტურაში შევედი, მაგრამ ჩვენ არ დავშორებივართ ერთმანეთს. ისევ ისე გრძელდებოდა ჩვენი შეხვედრები და აზრთა გაზიარებანი. თუმცა, კი განგებამ ისე ინება, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში არ ვიყავი თბილისში. შენი ქორნილის დღეს ტარტუში ვიყავი კონფერენციაზე და სუფრაზე ჩემი მშობლები მოვიდნენ ჩემს ნაცვლად, რომელთაც, ბუნებრივია, ჩემს მეგობართა შორის გამორჩეულად უყვარდი, მეორე მომენტი კი ისრაელში შენი ნამისვლა იყო - ამჯერად კიევში აღმოვჩნდი მივლინებული და ისე დატოვე საქართველო, ვერც დაგემშვიდობე. ეს საოცრად ტრაგიკული განცდა აღმოჩნდა ჩემთვის და ახლა გეტყვი, რაც არასდროს არ მითქვამს - გულის შეტევები დამეწყო და კარგა ხანს მიმკურნალეს.

ამჯერად უკვე მართლა დავშორდით გეოგრაფიულად, მაგრამ ისევ ახლო დავრჩით სულიერად, რაც დღემდე გრძელდება და დარწმუნებული ვარ, გაგრძელდება, სანამ არსთა გამრიგე გვარგუნებს ცისქვეშეთში ტრიალს.

მრავალჟამიერ, ჩემო ძვირფასო ძმაო!

რუბენ ენუქაშვილი-ენოხი

მადლობა!

ღმერთმა დამიფაროს, ქართველი ებრაელობის ღირსეული შვილები, რომლებმაც თავ-თავიანთი ნიჭით, გამჭრიახობით, დიდი შემოქმედებითი აღმაფრენით, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოიჩინეს თავი, დავნობრო: ეს პირველია, ეს მეშვიდე, ეს კი ოცდამეთხუთმეტეო — მიუხედავად იმისა, რომ ამ მისიას დრო, ხალხის მეხსიერება, შეუცდომლად ასრულებს, ზოგიერთი ჰაი-ჰარად მოაზროვნე მატრაკვეცა თავს ამის უფლებას აძლევს. ზოგადად კი ვიტყოდი: ქართველი ებრაელობა თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში — არცერთ ეპოქაში, არცერთ საუკუნეში არ ყოფილა ისე ძლიერი, საზოგადო ასპარეზზე ისე დანინაურებული, როგორიც არის დღეს. თუ წინა საუკუნეებში ჩვენ გვყავდა თითო-ოროლა გამორჩეული მოღვაწე, დღეს ქართველ ებრაელობაში ბევრი დიდებული მეცნიერი, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, შემოქმედებითი სფეროს ჩინებული წარმომადგენელი გვყავს. დღეს ის სიტუაციაა, როგორზეც დიდებული დავით ბააზოვი ოცნებობდა — ეხილა განათლებული, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ინტეგრირებული ქართველი ებრაელობა. იგი არა მხოლოდ ოცნებობდა ამაზე, იბრძოდა კიდეც ამისთვის, მაგრამ დროის სიავემ მისი ბედი უკულმა დაატრიალა. დროის ამ სიავეს დიდი სამსახური გაუწია ჩვენი ხალხის ერთ ნაწილში ჩაბუდებულმა ინტელექტუალურმა, ზნეობრივმა სიმწირემ.

დღეს კი ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ დიდი ნახტომი გააკეთა ქართველმა ებრაელობამ ყოფიერების ყველა სფეროში, რაც ქართველ ებრაელობას სრულიად სხვა გრადაციაში წარმოაჩენს. იცხაკ დავიდი კი ერთ-ერთია იმ არცთუ მრავალრიცხოვანთა შორის, რომლებიც ახალ გრადაციაში წარმოჩენილი ქართველი ებრაელობის სახეს ქმნიდნენ და ქმნიან.

იცხაკ დავიდი „მენორას" ერთობ სასურველი ავტორია—ხშირად ბეჭდავს მის ნაშრომებს თეოლოგიის, თუ ისტორიის საკითხებზე, მაგრამ შემიმჩნევია ის, რაც ესოდენ დამახასიათებელია დიდი მეცნიერების, პოლიტიკოსებისა, თუ საზოგადო მოღვაწეებისათვის: მართალია, იგი კმაყოფილებას გამოსთქვამს გაზეთის ყურადღების გამო, მაგრამ არც იმ სურვილს ფარავს, რომ „მენორამ" ბეჭდოს მისი ლექსები. ჩვენ კი, ვინათგან ლექსების ბეჭდვას თავს ვარიდებთ, ძვირფასი მეგობრის, მეცნიერის სურვილის დაკმაყოფილებას უმეტესწილად, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ. მისი ასეთი ცხოველი ინტერესი ლექსების პუბლიკაციისადმი, ბადებს კითხვას: ვინ არის იცხაკ დავიდი — პოეტი, თუ ისტორიკოსი? მართალია, ბევრ ისტორიკოსს უცდია პოეტური მუზის სამსახური და არცთუ ნარუმატებლად, მაგრამ ისინი, როგორც ისტორიკოსები, იცხაკ დავიდის სიმაღლეს ვერ მიწვდომიან.

იცხაკ დავიდი პოეტია — ჩინებული, სახეებით მოაზროვნე პოეტი, რომელიც ჯიუტად ტრიალებს ქართული ტრადიციული ლექსის წიაღში. შესაძლოა, მავანმა ამას არა ტრადიციული, არქაული სტილისადმი თავისმოდრეკაც დაარქვას, მაგრამ როგორც არ უნდა იქნას მიჩნეული, კლასიკური ქართული ლექსის, თუ არქაიზმის მოტრფიალედ, მთავარია, რომ მისი სტრიქონები ცინცხალი პოეტური ხილვებითაა აღვსილი და ეს გარემება კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ათასგზის გამოთქმულ თეზას იმის თაობაზე, რომ მთავარი შემოქმედებითი შედეგია და არა ის, თუ რაგვარი ხერხით გსურს მკითხველს სათქმელი გადასცე.

ისტორიკოსი?

ისტორიკოსმა იცხაკ დავიდმა თავის ხალხს, საქართველოს დიდი სამსახური გაუწია. შორსგახედულ ქართველობას, ქართველ ებრაელობას მისი დიდი პატივისცემა აქვს, ერთობ აფასებენ. ეს კი მისი, როგორც ისტორიკოსის, ამაგითაა განპირობებული—ამ ადამიანმა ქართველ ებრაელობას ხელისგულზე დაუდო თავისი წარსული, გაუცოცხლა საუკუნეების წიაღში ჩაკარგული ისტორია (თავს ვერ ვიკავებ არ აღვნიშნო ორი დავითაშვილის—შალომ დავიდისა და იცხაკ დავიდის დიდი ამაგი ქართველი ებრაელობისადმი. ამ ორმა დავითაშვილმა სამეცნიერო ინსტიტუციების ტვირთი აიკიდეს მხრებზე და სახელოვნად ეზიდებიან) იცხაკმა, როგორც იტყვიან, საკუთარ თავს აჯობა—მთელი ჩვენი წარსული, ჩვენი ავ-კარგი წინ დაგვიდო. თუ ჩვენ ვიცით, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, რა ამოძრავებდათ, რას ელტვოდნენ, რა სასახელო, თუ სამარცხვინო საქმეები უკეთებიათ, ან რას ვერ მოაბეს თავი, იცხაკ დავიდის დიდი გარჯით და წვდომის უნარით ვიცით. თუ ხალხი თავის ისტორიას არ სწავლობს, არ ანალიზებს, მრუდე მომავალი ელის. სამწუხაროდ, ჩვენს წინაპაართაგან მომავალზე ცოტა ფიქრობდა. ალბათ, ამიტომაც არის ესოდენ მწირი წერილობითი ძეგლები. იცხაკ დავიდი რომ არა, ძალიან ბევრი რამ არ გვეცოდინებოდა იმ საუკუნეებზე, რომლებზეც ამდენს ვლაპარაკობთ. ცხადია, კვლავაც ძალიან ბევრია საკვლევი. ღმერთმა ინებოს, გამოჩნდნენ ახალი იცხაკ დავიდები, მათ ჩვენმა იუბილარმა ჩინებული საფუძველი შეუმზადა.

ძალიან მომწონს და მიხარია, როცა იცხაკ დავიდი ასე აფასებს ქართველთა როლსა და ადგილს ჩვენი ებრაელობის ისტორიაში. მისი გამონათქვამი „მე ქართველებმა უფრო დამაფასეს, ვიდრე..."კიდევ ერთხელ მიდასტურებს, რომ ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ჭეშმარიტმა ქართველმა სიკეთის დანახვაც იცის და დაფასებაც. დასახახი და დასაფასებელი იცხაკს თუნდაც ისა აქვს, რომ მან იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ალექსანდრე ცაგარლის ექსპედიციამ, ვერც გიორგი ნერეთლის, აკაკი შანიძისა და ირაკლი აბაშიძის ექსპედიციამ — მან მოახერხა ენახა ის, რისი ნახვის უფლებაც სხვებს არ მისცეს. მე დღესაც განგაშის ზარის ფუნქციას მივანიჭებდი იცხაკ დავიდის მიერ იმ წლებში დაწერილ სიტყვებს და ამიტომაც მოვიხმობდი აქ: „დრო გარბის,პალესტინა-ისრაელი, მართალია არსებობს, მაგრამ აქაურ მონასტერ-ტაძრებსა და ეკლესიებში დიდი ხანია,სამწუხაროდ აღარ ისმის ღვთისნიერ ქართველთა მიერ აღვლენილი ლიტანია. კვალი ნელ-ნელა იკარგება და ქრება, ჟამთა სიავე, ხანძრები, დარბევები. ის, რაც ტიმოთე გაბაშვილმა ნახა,აღ. ცაგარელს აღარ უნახავს, ის რაც ცაგარელმა ნახა,შესაძლოა, ჩვენ ვეღარ ვნახოთ. საჭიროა მოსწრება, გარდამავლის, მიმსრბოლის დაჭერა. დღეს კიდევ შეიძლება რომელიღაც ქვის ნატეხი ნახო რომელიმე ქართული ასოთი, ხვალ ამასაც ვეღარ ნახავ".

ამ სტრიქონებს, 40 წლის წინათ დაწერილს,მე კი ვანიჭებ განგაშის ფუნქციას, მაგრამ რა აზრი აქვს—ის, ვინაც ამ საქმეს უნდა გაუძღვეს, ასეთ ტექსტებს არ კითხულობენ, კიდეც წაიკითხონ, არ სცალიათ — სადღეგრძელოების თქმით არიან დაკავებულნი.

ზემოთ დავით ბააზოვი ვახსენე. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ დავით ბააზოვი გახლდათ საქართველოში აჰად ჰაამის „ჰასკალას" იდეების გამავრცელებელი და დამამკვიდრებელი. მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე რუსეთის, ევროპის ებრაელობა შესაშურ ინტელექტუალურ დონეზე რომ აღმოჩნდა, „ჰასკალას" მადლია. ამ პროცესს „ჰასკალა"ათეულობით წლები ამზადებდა. მან დაუდო სათავე აინშტაინების, ფოიხტვანგერების, კაფკეებისა, თუ სხვათა შედეგებას. დიახ, აჰად ჰაამმა შექმნა იდეოლოგია ებრაელთა შორის განათლების, კულტურის პოპულარიზაციისა. ამ იდეოლოგიის ხორცისშემსხმელები კი იმდროინდელი რუსეთისა, თუ ევროპის ებრაელი საქმიანი ადამიანები გახლდნენ. შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ებრაული გონის აღზევებაში როტშილდების, ჰირშების, თუ ბროდსკების ოჯახებს ნაკლებ მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე აღიარებულ მეცნიერებს, შემოქმედთ.

ამას ელტვოდა დავით ბააზოვი, ამ ტენდენციის დანერგვას ცდილობდა საქართველოში, მაგრამ...

მე-19 საუკუნის ევროპიელი, რუსეთის ებრაელობის ზრუნვა წარსულის შესწავლაზე, რაც ფაქტიურად მომავლზე ზრუნვას ნიშნავს, სამაგალითოა. თანამედროვეობაში ამის შესანიშნავ მაგალითს იძლევა ბიძინა ივანიშვილი. ერთობ მადლიერი ვარ მისი—ამ ქრისტეს რჯულის აღმსარებელმა ადამიანმა,არა სახაზინო, საკუთარი ჯიბიდან ამოღებული ფინანსებით ახალი სიცოცხლე მიანიჭა საქართველოს ებრაელთა სალოცავებს, გივი ღამბაშიძე ებრაელ თანამებრძოლებთან ერთად, ებრაელთა შორის, წლების განმავლობაში ეძებდა ადამიანს, რომელიც საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის ნაქცევის პირას მისულ ნაგებობას მიეშველებოდა. ესეც ბ. ივანიშვილმა ითავა. თუმცა, არ მიხარია და მწყინს კიდეც, ეს კეთილშობილური საქმე ქართველმა ებრაელმა ბიზნესმენებმა რომ არ იდეს თავს. ქართველთაგან ჩვენ ბევრი რამ შევითვისეთ—ნეგატივიც და პოზიტივიც—ღირსეულ შვილთა დაფასების, გვერდში ამოდგომის ნიჭი ეი, განსაკუთრებულია.

ჩემი იცხაკ, ქართველ ებრაელთა ღირსეულო შვილო, მინდა გულითადი მადლობა გითხრა იმ დაუღლელი შრომისათვის, რაც შენ ჩვენი წარსულის საკვლევად გასწიე, აქ რომ ჩამოვთვალო რამდენი საქმისთვის გეკუთვნის მადლობა, შორს წავალთ, ძალიან შორს.

ღმერთმა შეგაძლებინოს, რომ კვლავაც ასე ნაყოფიერედ გეღვაწოს და აგემაღლებინოს შენი ხალხის, ქართველთა ღირსება!

გურამ გათიაშვილი

იცხაკ დავიდი

მასზე მხოლოდ სიყვარულით უნდა ისაუბრო. სიყვარულით და მოწიწებით. ეს უბრალოდ პასუხი იქნება მის პიროვნულ ხიბლზე.

იგი იყო და რჩება ჩვენი თაობის სახედ.

იგი ცოცხალი ლეგენდაა და ამავდროულად ჩვენი თანამედროვე.

მისი სახელი და გვარია იცხაკ დავიდი.

12 იანვარს მას 70 წელი უსრულდება.

* * *

იცხაკ დავიდმა (დავითაშვილი) გაიარა დიდი ადამიანური, თბილისური სკოლა ყველანაირი გაგებით. სიმპტომატურია, რომ როცა მას 1991 წელს საზოგადოება „თბილისელის“ საპატიო წევრად აირჩევენ, ეს რეგალია არანაკლებ ამაღელვებელი იქნება მისთვის საქართველოს საპატიო მოქალაქის სტატუსის (1999 წ.) პარალელურად...

წარმატებით დაასრულებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სემიტოლოგიის განხრით. ერთხანს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში იღვაწებს, იქვე დაიწყებს მუშაობას საკანდიდატო დისერტაციაზე და...

და პირველი ალიის სათავეებთანაც დადგება — მისი თაობა ხომ — ისრაელ ბაბალიკაშვილის შეგირდთა თაობა — სხვა სულისკვეთებით უბრუნდებოდა ისტორიულ სამშობლოს.

იცხაკ დავიდის ადაპტაცია აღთქმულ მიწაზე ძალზედ ბუნებრივად წარიმართა. იგი უსწრაფესად ჩაერთო დიდ პოლიტიკაში — პრემიერ-მინისტრ მენახემ ბეგინის წარდგინებით კოოპტირებული იქნა თავისუფლების — „ხერუთის“ მოძრაობის ცენტრალურ კომიტეტში და დაინიშნა კავკასიიდან გამოსულთა სექტორის გამგედ, შემდგომ, 1977 წლიდან, სარეპატრიაციო და სსრ კავშირიდან გამოსულთა სამთავრობო განყოფილების თავმჯდომარედ, ხოლო 1980-83 წლებში იცხაკი მთავრობის მეთაურის მრჩეველია რეპატრიაციისა და ემიგრაციის საკითხებში.

1984-92 წლებში იგი პრემიერ-მინისტრ იცხაკ შამირის საგანგებო მრჩეველი ხდება ებრაული დიასპორის, რეპატრიაციის, აბსორბციისა და ინტერეთნიკური ინტეგრაციის საკითხებში.

პარალელურად, არ წყვეტს სამეცნიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობას — ქვეყნდება მისი ნანერების ორტომეული კავკასიოლოგიური ცენტრის ჩარჩოებში, და რაც მთავარია, უდიდეს გავლენას ახდენს ქართველ ებრაელთა აზროვნებისა და ტრანსფორმირების არცთუ იოლ პროცესზე.

დღეს აკადემიკოსი იცხაკ დავიდი მსოფლიოს 6 აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, ათტომეულისა და 50-მდე მონოგრაფიის (!) ავტორი, თავისუფლად ფლობს რა 20-ზე მეტ ენას (!!), ცხოვრობს და მოღვაწეობს აშშ-ში, ვაშინგტონში. იგი არის დამაარსებელი და ხელმძღვანელი მიმდინარეობისა — რეველაციონალიზმი (კონგრეგაცია სიტყვებისა — რეველაცია — გამოცხადება, რევოლუცია — განახლება, გადატრიალება) ჰქვია.

ლექციებითა და მოხსენებებით გამოდის აშშ-ს, რუსეთის, კავკასიისა და შუა აზიის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, ტაილანდის, იაპონიის, ავსტრალიის უნივერსიტეტებში, „მოწვეული პროფესორის“ დოქტორ ემერეტუსის სტატუსით. რაც დღემდე გრძელდება.

დროდადრო სტუმრობს თავის ორ საფიცარ სამშობლოს — ისრაელსა და საქართველოს...

* * *

და მაინც...

ვინ არის იგი — აკადემიკოსი იცხაკ დავიდი?!

პოეტი — ბუნებით?

ფილოსოფოსი — არსით?

მეცნიერი მოწოდებით? თუ პოლიგლოტი ნიჭით?..

არც ერთი, არც მეორე... და ამავდროულად, ყველა ერთად...

იგი უპირველესად, უაღრესად განსწავლული და ღრმად მორწმუნე ებრაელია — ბუნებითა და არსით, მოწოდებითა და ნიჭით.

„თქვენ ბუნების კანონს ეძებთ — წერდა შილერი გოეთეს, როცა მისი, როგორც მოძღვრის წინაშე აღმსარებლობას შეუდგა — თქვენს ინტუიციაში ძევს ყოველივე, იგი თქვენშია, და ვერც ამჩნევთ საკუთარ საუფჯეს... თქვენი მსგავსი სულები იშვიათად ხვდებიან, თუ რა შორს შეიჭრნენ... ეს ხელოვნიფება მხოლოდ გენიოსს, რომელიც გაუცნობიერებლად, მაგრამ წმინდა გონების კარნახით, ობიექტურ კანონებად ჰკრავს ყოველივეს“...

აღარ გავაგრძელებ ციტირებას — პარალელი ნათელია.

და რადგან ყველას თავისი აღმსარებლობა გააჩნია, ანუ როგორც ჰაინე იტყოდა, „ყველა თავის ფაუსტს ნერს“, არც იდეებამდე ამაღლებაა ჩვენი საქმე და არც უნიჭო მიმბაძველობა იმისათვის, რომ პოეტად ვინოდდებოდეთ... აი, აღიარება კი გვმართებს იმის მაინც, რომ ჩვენ გენიოსის თანამედროვენი ვარო და რომ იგი ჩვენს შორისაა, ჩვენს ქუჩაზე დაიარება, ხელს გვართმევს, გვესაუბრება, ზოგჯერ კიდეც გვიღიმის, და არც კი ვაცნობიერებთ, რომ ეს სიბრძნის ღიმილია, ჩვენი ბავშვების ახირებას რომ შესცქერის სიყვარულით, თავად დიდი, 70 წლის დიდი ბავშვი.

ალბერტ პაპისმედოვის ილუსტრაცია იცხაკ დავიდის წიგნისათვის „ლამაზი ქრისტიანი გოგო უფლის საფლავთან“

ეგებ სატკივარს მიმხელდი, დედავ!
როს მთვარე ბნელში მიივანებდა...
როს იღვრებოდა სადღაც, სოფელში
ის იდუმალი იავნანა,

ეგებ მმადლიდი სიტყვას, გამდელო,
ღვთიურს, განბანილს წმინდა ემბაზით.
ახლა თუნდ ჟამმა მომსპოს, წამლეკოს
დარდს გამიქარვებს ნადარბაზევი.

ნგრევის სტიქიონს შევრჩები ერთი,
შევრჩები კენტი ამ არმყოვრობას,
დგას ანგელოსი დაშვებულ ფრთებით
და სწყევლის დღეთა უარმყოფლობას,

დაე, აღზევდეს სურვილი ესე,
ამზევდეს გული შენგან ქებული,
ძეო ღვთისაო, ამ თვალებს ენდე
შენ შენს ცოდვებში ხარ მხილებული.

ეგებ სატკივარს ცრემლთა მორევით
მილტობდი, დედავ, გვემით, ვაებით,
როს თენდებოდა სადღაც, შორეთში
დღე საოცარი ფერიცვალების.

ეს შენი ლექსია, ჩემო იცხაკ, შენი „დედა“, შენივ გულიდან ნაკარნახევი, ბუნებრივი, მასასადამე, ჭეშმარიტი, და ყოველგვარი ფილოსოფიური რემარკა მასთან, ანუ ლექსთან, ხუნდება, ვითარცა ანტითეზისი, რამეთუ „პოეტია ერთადერთი ჭეშმარიტი ამქვეყნად და საუკეთესო ფილოსოფოსიც კი მხოლოდ კარიკატურაა, მასთან შედარებით“ — ესეც ბილერია...

ხოლო პარალელი ისედაც ნათელია.

ჩემო იცხაკ!

მე ვიცი, ვის მივმართავ ასე და ვის წინაშე ვიხოკავ სახეს, ამდაც ვღაღადებ გულადად და გულალალად და შევთხოვ გამჩენს, არ დამრჩეს სიტყვა ესე, შენდამი თქმული, „ხმად მღაღადებლისა“...

დროის „ლიუციფერბლატი“ გვიყურებს ჩვენ!

ეს ყველაფერი კი დღეს არ დაწყებულა.

ამიტომ... ვთქვათ სიმართლე — ადამიანმა ხომ მაშინ დაკარგა წონასწორობა, როცა ფეხზე დადგა. ხოლო ყველაზე დიდი ოპტიმისტი მაინც რაბი აკივაა თავისი უკვდავი პოსტულატიით: — „ყველაფერი უკვე იყო“...

ასე რომ, ძალიანაც მოვინდომო, მე ახალს ვერაფერს გეტყვი, ყველაფერი ახალი ხომ ეს კარგად დავიწყებული ძველია... ერთადერთი, რაც ჩემს შენდამი სურვილებში შემიძლია ჩავაქსოვო, ესაა გულწრფელობა — ჩვენ ისედაც არ გვჭირდება რევერანსები, არც პოზიციების გარკვევა და არც დღევანდელი კვერცხისა და ხვალინდელი ქათმის ინილო-ბინილოობა...

ჩვენ მუდამ გვამუხრუჭებდა გაურანდავი და მოუთოკავი ამბიციები — ანდა რად გვინდა შორს წასვლა — ყველა კისერს კი არ უხდება ჰალსტუხი ანდა ყველა ხელს კი არ ძალუძს ტალახის ზელა.

სამყარო გადასხვაფერდა.

ჩვენს წინაშეა გულგრილობის დუნედ მღელვარე ზღვა.

ჩვენ გვაერთიანებს საერთო ინტერესთა უქონლობა, სადაც ცხოვრება, ყოველდღიურობა საკმაოზე დიდ დროს გვართმევს; აქ უსინდისობას უსირცხვილობითაც ინაზღაურებენ და ზოგჯერ არარაობებსაც აკუთვნებენ მთავარ როლებს, რათა შემდგომ, გემბანზე ამოყარონ ნაყოვნებით გაზულუქებული თევზებივით.

ყველას თავისი ნიშა ჰქონდა; და რადგანაც ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება, და საეჭვოა ამის მერე მაინც რამე მოხდეს, ვაღიაროთ, რომ ფაქტები შიშველია, როგორ მოდაზეც არ უნდა გამოვანყოთ ისინი.

ისე კი ვიტყვი, ჩემთვის, ხმადაბლა, დრო ხომ არ მოსულა-მეთქი ვარგისიანობის ვადა განვუსაზღვროთ მუდმივ ფასეულობებს — მათმა ავტორებმა ხომ, როგორც იტყვიან, დიდი შრომა დახარჯეს, როცა საკმაოზე დაბლა დანიეს საერთო დონე...

მაგრამ დრო ულმობელია... ადამიანი ხომ საკუთარ ცხოვრებაშიც მხოლოდ ეპიზოდურ როლს თამაშობს. ამიტომაც გეკითხები შენ, იცხაკ დავიდს:

— **„იცლი კი ოდესმე შენთვის?“.**

შენ ხომ ვერასოდეს გახდები ცივი ოლიმპიელი, რადგან ხარ მგზნებარე კავკასიელი. და თუ შენს სიმდიდრეს შენსავე თემსა და ისრაელს არ დაბერტყავ, დარჩენილი გაქვს კი სულ რაღაც 50 წელი, დროა დასრულდეს შენი „მსოფლიო მგზავრობა“... ამადაც გეტყვი, ჩამოდი: შენ წინ გელის საქმეები, შენ ენატრები ბევრს, უყვარხარ მრავალს, აფარებენ შენს სიტყვას, ეიმედები... და ამადაც... ჩამოდი!

ჩამოდი შენს სოფელში, ჩვენს „აღთქმულში;“ შენ კარგად უწყი, ჩემო იცხაკ, რომ შეყვარებულთათვის თივას სხვა სუნი აქვს, ვიდრე ცხენებისათვის... ჩვენ კი... ჩვენ ხომ შეყვარებულები ვართ, შეყვარებულები მუდმივ და მარადიულ ღირებულებებზე — და ჩვენთვის, 2000-წლოვან ნაგალუთაართათვის, სამშობლოზე მეტი ღირებული რა უნდა იყოს, ჩამოდი... ჩამოდი, ერთხელ კიდევ განვიცადოთ.

„რა კარგი იყო ბარდნალა
ბარდნაველების ბორანი,
ერთხელ კიდევ შევიგრძნოთ
„როგორ გვიყვარდა, როგორ გვიყვარდა
პირველი თოვლი და მარტით თრობა“...
და მერე...

დავსხდეთ, ვსვათ ყავა (ფიროსმანი ჩაის გვირჩევდა) და გავარჩიოთ ჩემი შენდამი გულწრფელად მოძღვნილი სტრიქონები:

* * *

იცაკ დავიდს

გადაეკვართა ახალ ბომონებს
ზეცა, რომელმაც მიწა მოჟამა.
დრო-ჟამს, უნდობარს
შენ არ ემონე
შენ,
ვინც არ იყავ
მწყრალად დრო ჟამთან.

აქ ინასკვება ბედის გორგალი!
ბედის,
რომელიც მიწყივ კრახია...
მე არ ვაჭარბებ —
შენი მორალით
დგახარ იქ,
სადაც მაშიახია.

სადაც სიტყვაა უპირველესი
ყოვლის მომცველი
და დამთრგუნავი.
სიტყვა სიკეთის თესლის მთესველი,
სიტყვა — მკვლელი და
სიტყვა — მკურნალი.

რა გითხრა ლექსით?
რას გეტყვი ისეთს
რომ გაგიქარვო სიონის სევდა.
დასაბამიდან
დაეძებ მიზეზს
მსოფლიო გზებზე რაიც თან გსდევდა.

ჯერ უკუნია მღვიმის,
უძირო,
და მოლოდინი ღვთიურ ნათების
შენ
სხვა მწვერვალებს უნდა უმზირო
შენ
გაქვს მისია — სხვა „დაბადების!“

ნუგზარ ჯანაშვილი
8.01.2016
თელ-ავივი, ისრაელი

ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიადელი შნეურ ზალმანის თეოსოფია

იცხაკ დავიდი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „მ“ №6, 7, 8, 9, 10, 11-12, 2013; №10, 12, 2014, №2, №3, №8 2015)

ამ მხრივ ფიზიკურ-არითმეტიკული კონცეფციის გავრცელება კოსმოსზე პითაგორეელებთანაც ინიშნება. მაგ., კოსმოსის ათ ციურ სფეროდ დაყოფა, რომელთაგანაც ყოველი თითოეული დამახასიათებელი გეომეტრიულ-აკუსტიკური აგებულებისა იყო. თავის მხრივ. ებრ. ცნება (ხაუთ)-ს შესაძლოა შევუფარდოთ ძვ. ბერძნული ფსიხეა ან მისეული ვარიანტები: სული, სიცოცხლე, ქარი, ჭავლი...

ზოჰარის მიხედვით სულები ორად განიყოფებიან, მამრ. და დედრ.-ად. პირველნი თავს იყრიან ხესედ-ის სეფირა-ში. მეორენი დინ-ისაში. სულის სამივე ელემენტის ურთიერთმიმართება სხეულთან შედარებულია დანთებულ ალთან, რომელშიც ორი ფერი გამოირჩევა — თეთრი და მუქი. თეთრი — მაღლა სწრაფული სწორი ზოლია. მუქი კი თვით საწვავ საფუძველთან ახლოს მყოფი (იხ. ამ საკითხის განხილვა გუტმანის, შეიერის, იოელის, გინსბურგის, ჰოროვიცისა და სხვათა ნაწერებში.)

ნიცოცᲑ|ნიცოცოთ — ნაპერწკლები ღვთაებისა, სიწმინდისა, რომლებიც კეთილის მოქმედებისას თავისუფლდებიან ადამიანის სხეულებრივი შეზღუდულობიდან და ღვთაებას ერწყმიან.

ნ.ხ.შ. — ნიდუი, ხერემ, შემათა, — შეჩვენება, მოკვეთა, განბილება — წყევლის სიმბოლონი.

ორ — სინათლე ღვთაებრივი ემანაციის წყარო. აქედან „ორ ენ სოფ“ „უსასრულო სინათლე“ ემანაცია, გამოსხივება უსასრულობიდან.

რაცონ — სურვილი. ნება აქედან რაცონ ჰაელიონ ნება უზენაესისა“.

სეფირა|სეფიროთ — ღვთაებრივი ატრიბუტები, ემანაციები, ათი სეფირა ორ კატეგორიად რომ იყოფიან სეხელ „ინტელექტი“ და მიდდოთ განწყობა-თვისებები. სეფიროთ-ნი ვლინდებიან ყოველ თითოეულ ოთხ სამყაროში (იხ. აბი'ა) ისინი ათი სულიერი ძალის წყაროს შეადგენენ. (ვრცლად თანიას ტექსტსა და გამოკვლევაში).

მე-7-8 სს-ში შეიქმნა „სეფერ იეცირა“-სეული მოძღვრება სამყაროს გაჩენა-განსახვაზე არაფრიდან, რაოდენობის (ნივთიერი ცეცხლი, მინა, ჰაერი) კავშირით რაობასთან (თორმა) — ათი გრადაციული სეფირ-იდან, რომ შედგება, ემანირდება ღმერთისაგან და მასვე უბრუნდება შეერთებისა და გათიშვის მუდმივი ციკლის გავლით (შდრ. წარმართული შეხედულებების გავლენის ქვეშ მყოფი ბაბილონურ-ძველებრაული სისტემები, შემდეგ კი ისლამი, კარაიზმი, რაციონალიზმი... ასევე დავიდ ალმოკამეცის, საადია გაონისა და არაბ მუთაზილიტთა შეხედულებანი).

ყოველივე ზემოთქმულიდან თანდათან გამოიკვეთა რვა ძირითადი პრინციპი: ერთადერთი ღვთაებრივი ნება, განსახვა არაფრიდან, სულის უსხეულობა, თორის მოვლენადობის ღვთაებრიობა, ნების თავისუფლება, ღვთაებრ. საზღაურების მიგება, მიცვალებულთა გაცოცხლება. ისრაელის ხსნა).

სეხელ — საზრისი, ინტელექტი, მოიცავს ხ-ბ-დ-ის ატრიბუტებს, კერძოდ ხოხმა „სიბრძნე“ „ბინა“ „გონება“ „დაათ“ „ჭკუა“ პირველ სამ სეფირას, აღინიშნებიან აგრეთვე როგორც მოხინ „ტვინნი“ და იმოთ „დედანი“, წარმოადგენენ წყაროებს მიდოთ-ისთვის.

შევირათ ჰა-ქელიმ — ჭურჭელთმსხვრევა, ლურიანული კაბალას ერთერთი ძირითადი პოსტულატე (იხ. იგერეთ ჰაკოდეშ, თთ. 26.28.).

შეხინა — ღვთაებრივი განფენილობა, რომელიც მოიზიდება დედამიწისკენ. არც იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ხსენებული თეორია წინამორბედია თანამედროვე ე.წ. ტრანსფორმაციული გრამატიკების სისტემებისა, რომლებიც ფაქტიურად ენის გამოსახვით-შემოქმედებითი საშუალებების უსასრულობაზე მიანიშნებენ. აკი, ესოდენ ბრწყინვალედ ართმევს თავს ამ ამოცანას რ. შნეურ ზალმან მილიადი წარმოდგენილ ნაწარმოებში, რომელიც არანაკლებაა საინტერესო სწორედ თავისი ფსიქოლინგვისტური პრობლემატიკის წარმოჩენით.

აი, დგას შუასაუკუნეების ებრაელი კაბალისტიც და ღვთაებასთან კავშირს ცდილობს სწორედ ასოთ შეხაერთების, ჩანაცვლება-გადანაცვლებებით, მიაჩნია რა საერთო გლოტო-მორფო-ფონოგონური პროცესი უსასრულოდ, რომელსაც მისტიკური თვალსაზრისით ეპარალელება საკუთრივ მატერიალურ-სამყაროსეული ქმნადობისა და აღქმნადობის პროცესი.

ძველქანაანურ-ებრაული ანბანის ასოთა მნიშვნელობის დადგენას მიანერდნენ ბიბლიურ ავრაჰამს, შემდგომში ცნობილ თალმუდისტ სწავლულ რაბი აკივასაც კი, რომელსაც გადმოცემით კავკასია-საქართველოშიც კი უმოგზაურია გარკვეული ეროვნულ-რელიგიური მისიებით.

ზემოხსენებულის ფონზე, ძნელი არაა დავასკვნათ, რომ შნეურ მილიადი (ხასიდ-მიმდევართა შორის ადმორ ჰა-ზაკენ-ად ცნობილი) ებრაულ რაციონალურ-კონცეპტუალური ენათმეცნიერების დამაარსებელიცაა. ეყრდნობა რა სეფერ იეცირ-ისეული ლინგვისტურ თეორიას ებრ. 22 ბგერის წარმოთქმა-არტიკულაციის შესახებ, ვარაუდობს სამყაროსეული საგნების სათანადო გამომდინარეობასაც საკუთრივ ბგერათა ბუნებრივი შემადგენლობიდან.

ასე მაგ., ებრ. ასოების ა-ლეფ, მ-ემ, შ-ინ საშუალებით წარმოიქმნება [მ] – ცეცხლი, [მ] წყალი, [ა] – ჰაერის მეშვეობით, რასაც ემატება ექვსი სამყაროსეული განზომილება და საკუთრივ რუახ ანუ ღვთაებრივი სული. რის შედეგადაც ვიღებთ ათ სეფირა-ს, ამრიგად, შექმნა 22 ასომ, მთელი ფიზიკური სამყარო. (შდრ. თალმუდ ბერახოთ. 55ა), საბოლოო ჯამში სემიტური თეოსოფიის საფუძვლები კოსმო-გლოტოგონურ შეხედულებებსაც შეიცავდნენ.

ამ მხრივ ფიზიკურ-არითმეტიკული კონცეფციის გავრცელება კოსმოსზე პითაგორელებთანაც ინიშნება, მაგ., კოსმოსის ათ ციურ სფეროდ დაყოფა, რომელთაგანაც ყოველი თითოეული დამახასიათებელი გეომეტრიულ-აკუსტიკური აგებულებისა იყო. თავის მხრივ, ებრ. ცნება [ხაიუთ]-ს შესაძლოა შევუფარდოთ ძვ. ბერძნული ფსიხეა ან მისეული ვარიანტები: სული, სიცოცხლე, ქარი, ჭავლი... შდრ. ნეოკონფუციანური ცნება CJodunიისთან — [ტაი ცზი] დიდი ზღვარი, იაპონ. [ტაი კიოკუ], კორ. [ტნეგიკ], ვითარც მთელი მატერიალური. ყოფიერების პირველსაწყისისა.

შინტოიზმში გარდაცვალების ფაქტი თავისებურადაა ასახული. იმპერატორი იაპონელთა რწმენით არ კვდება, ის მხოლოდ ეფარება თვალს (იაპ. კაკერერუ).

ისეთ ცნებებს, როგორიცაა ბგერა, ხმა, სიტყვა ბიბლიაში განსაკუთრებული მისტიკური ძალა ენიჭებათ (იხ. ფსალმ.. 29:3 147:5 148:5 და ა.შ.).

კაბალაში რიცხობრივ ცნებებსაც ენიჭებათ გარკვეული მნიშვნელობა, აი, ავიღოთ რიცხვი — შვიდი (7), რომელიც შედგება 6 შესაქმეთა დღისა და მეშვიდე ღვთაებრივი შაბათი-ის დღიდან, ასევეა მატერიალურ ელემენტებთან ან ნივთებთან მიმართებაში. ნებისმიერი საგანი ხომ 6 მხრიდანაა შემდგარი — აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი, მაღლა, დაბლა, ხოლო მეშვიდე რაობა — ღვთაებრივი სული მასშივეა განსახიერებული, ასე იკვრება ეს წრეც, ამასთან. მასზე ზემოთ არსებობს ზე-ბუნებრივი, მერვე ელემენტი, რომელიც არაა უშუალო ნაწილი ბუნებრივი სისტემისა, არამედ ვლინდება ვითარც სასნაული სამყაროს გარედან გამომდინარე, სამყაროსეულ ციკლურ მოძრაობაშივე რომ ხორციელდება.

ღვთაებრივი წინასწარმეტყველური აცისკროვნება იუდაიზმში, სულიერი ნათელხილვადობის უმაღლესი საფეხურია, რაც ამასთან ფილოსოფიურ-რაციონალური განსჯის ეტალონით უნდა მოწმდებოდეს, რომ არ გადაიქცეს ცრუმეტყველებაში. ამით, ასეთ გაცისკროვნებას ეთიკურ-აღმზრდელობითი ხასიათიც ენიჭება.

კაბალა წარმოადგენდა წინასწარმეტყველურ-გაცისკროვნებითი იუდაიზმის აღორძინებას ფილოსოფიის საფუძველზე, რამბა'ნი (ნახმანიდი) ეძებს თორაში ფარულ ღვთაებრივ სინათლეს, რომელიც შესძლებს ადამიანის სიცოცხლის განათიერებას და გათბობას, ეს კია — შინაგანი ჭვრეტის, რელიგიური განცდის, ადამიანისა და ღმერთის კავშირის უწყვეტობის, ყველა ადამიანის თანასწორ-ღირსებიანობის, სულის უკვდავების, ღვთაებრივი გასხივოსნების მიღწევის გზა.

თუ ადრეული რელიგიური მრწამსი ქადაგებდა სარწმუნოებრივი რიტუალების შესრულების ეთიკურ სავალდებულო აუცილებლობას, კაბალამ აღიარა შემქმნელისა და შექმნილის ერთიანობა, სამყაროს ზნეობრივი განახლებადობა თვით შემქმნელ ღმერთში, ამდენადვე გამოაცხადა, რომ ღვთაებრივი ვედრებების შესრულება ღრმა წმინდა გრძნობეულობის გარეშე, მოკლებულია ყოველ მნიშვნელობას, რამეთუ მთავარია ღმერთთან შერწყმა, ღრმად ჩაფიქრებული (ქართულ-ებრაული ტერმინოლოგიით: დაქავანებული) ლოცვის აღვლენის გზით, თვით-აღტკინებისა და აღფრთოვანების გზით, რაც წინასწარმეტყველთაგან მოდის, სამაგიეროდ, ვედრებათა ბრმა, გაუცხობადი შესრულება ღმერთის იქითა მხრიდან (სიტრა ახრა-დან) მოდის. ესაა მონობისა თუ მორჩილი დაქვემდებარების სახე. მოკლებული შინაგან თავისუფლებას, თალმუდ-რაბინისტული კაზუისტიკისადმი.

ასეთი მრწამსით კაბალა ფართოდ შეიჭრა ხალხის მასებში. აღმოაჩინა რა ძლიერი, მისტიკურად დახვეწილი მსოფლმხედველობა და ანტისქოლასტიკური ფილოსოფია.

თუ გავადევნებთ თვალს ებრაული მისტიკურ-ტერმინოლოგიურ კონცეფტებს ანტიკურობის გავლით, პლატონური (ძვ. წ. 428-348) მსოფლმხედველობისკენ, ტრიადის შესახებ, ადვილად შევამჩნევთ ძირეულ მსგავსებას.

ჰესიოდური თეოგონიის მიმდევარი ძველი ბერძენი ორფიკენიც ქადაგებდნენ ასევე პლატონისა და პინდარის გადმოცემით, სულთა გადასახლებას (მეტემფსიქოზისს), სულის მატუსაღებელი სხეულ-წყვდიადიდან მისი განწმენდის მიზნით.

ჯერ კიდევ ძველებრაული სექტის ესსეების (ფილონ, ფლავიუს, პლინიუს) მოძღვრების თალმუდ ხასიდიმ რიშონიმ-ის მიხედვით, ლოცვა უნდა იყოს ღრმად დაგულისხმებული, სათანადო განწყობილებებით, რელიგიური ექსტაზით.

ამ პირვანდელ ხასიდებს განდეგილობის გზით სურდათ ღვთაებრივი გამოცხადების მიღწევა. მათზე გარკვეული გავლენა ფარსისტულ-მისტიკურსა და ინდურ-ბუდისტურ შეხედულებებსაც უნდა მოეხდინათ.

ესსეებს სწამდათ სულის უკვდავებისა, როგორც ადრეულ ფერუშიმ-თ (განდგომილთ), მათი მრწამსით, ღვთაებრივი განგება მარადმოყვარია (იხ. ფლავიუს, სიძველენი, 13თ5.9 18:1.5). ესსებს ღრმად სწამდათ აგრეთვე ბედისწერის, წინასწარგანსაზღვრულობისა და ა.შ., რასაც ცადუკეელნი უარყოფდნენ, ხოლო ფერუშიმ-ელთ საშუალედო პოზიცია ეკავათ.

ფაქტია ისიც, რომ სულთა გადასახლებისა და გარდასახვის მოძღვრება განავითარა და განავრცო პოსიდონიუსმა (ძვ. წ. 135-151), რომელიც ამას უკავშირებდა სამყაროს პერიოდულ აელვარებაალებას.

ებრაული მისტიკური პრაქტიკა ჩვ. წ-მდე 300-200 წწ-ში ფორმდება, პირველი მისტიკოსები საკმაოდ ახლოს იყვნენ ებრაულ რიტუალურ-საკანონმდებლო სინამდვილესთან. ძირეულად ხსენ. პრაქტიკა გაფორმდა პირველი საუკუნის მისტიკოს რ. ნეხუნია ბ. ჰაკანას შეხედულებებში, რომელმაც უმაღლეს დონემდე აიყვანა კოსმიური ხისა და ასოთშენაერთებით ღვთაებრივი სულის ანაპერწკლება ადამიანში.

ებრაულმა მისტიციზმმა თავისებურად შეისისხლხორცა ბიბლიური საკითხი სქეს. ტრანსპოზიციისა. კაბალაში დედრობითობა და საერთოდ ქალური ფენომენი ფართო ადგილს იკავებს. საკუთრივ ღვთაებას ორი დედრობ. ატრიბუტი გააჩნია, შეხინა და მატრონა.

(გაგრძელება იქნება)

„მინდა კეთილმა ხალმა კარგად იცხოვროს დედამიწაზე...“

„მენორას“ სტუმარია მომღერალი მორის ჯანაშვილი

— ჩვენი გაზეთის ტრადიცია ესეთია: რესპოდენტები თავად წარუდგებიან მკითხველს. გვიამბეთ თქვენს შესახებ — ვინ არის მორის ჯანაშვილი?

— დავიბადე 1960 წელს ქალაქ თბილისში, მაისი და მაია ჯანაშვილების ოჯახში, დედისერთა შვილი. 12 წლის ვიყავი, როცა მამა, 49 წლის ასაკში გარდაიცვალა, მას შემდეგ ოჯახში სიკვდილიანობის შავი ზოლი გაგრძელდა, გარდაიცვალა დეიდა, ბაბუა, ბებია. ამიტომ 1976 წელს, მე და დედამ გადავწყვიტეთ წავსულიყავით ისრაელში. მეათე კლასში ვიყავი, საქართველოდან თებერვალში ნავედით, მაგრამ ჩემი სკოლის დირექტორმა სკოლის ატესტატი თებერვალშივე გამატანა. როდესაც 16 წლის ასაკში ჩადიხარ უცხო ქვეყანაში, რა თქმა უნდა, დაბნეული ხარ, მიუხედავად იმისა რომ შენი ქვეყანაა, არ იცი რა გააკეთო, როგორ მოიქცე. სწორედ ჩემი თავის პოვნის პერიოდში, ისრაელში ჩასვლიდან მოკლე ხანში, ამიყვანეს ქართული ცეკვის ანსამბლში, თამაზ სეფიაშვილთან. სულ რაღაც 3 თვის ჩასული ვიყავი ისრაელში, როცა გასტროლებით წავედით ამერიკაში. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ ვთამაშობდი ქართულ დრამატულ თეატრში. მე ვიყავი ერთ-ერთი დამაარსებელი კვარტეტ „კოლანის“, რომელიც დღეს ერთ-ერთი პოპულარული ანსამბლია ისრაელში. იქედან გამომდინარე, რომ სოლო კარიერა, ცალკე პერფორმანსი, უფრო მიზიდავდა, ერთხელ არ მივედი რეპეტიციაზე, მივიტანე ბიულეტენი, რის შემდეგაც იცკა ათანელლოვმა მითხრა, რომ ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა სოლო კარიერისთვის მიმეხედა და მეკეთებინა ის, რაც მინდოდა. ჩამოვაყალიბე ანსამბლი, წელიწადნახევარი სარდაფში ვიყავით მე და ჩემი მეგობრები და სიმღერებს ვქმნიდით. შევადგინეთ პროგრამა და პატარა-პატარა გამოსვლები დავიწყეთ. ეს ის პერიოდი იყო, როცა არავინ არაფერს ნერდა, მხოლოდ ის, რაც მეხსიერებით წავიღეთ თბილისიდან, 70-იან წლებში არანაირი კავშირი არ იყო, იმ პერიოდში ჩვენთვის კონცერტი იყო დღეასასწაული, ნათლობა, დაბადების დღე.

— გვიამბეთ ქართული სიმღერის ფესტივალის შესახებ.

— 1985 წელს ისრაელში გაიმართა პირველი ქართული საესტრადო სიმღერის ფესტივალი, ქალაქ ლუდში, რომელშიც ვმონაწილეობდი ქართველ ებრაელ მომღერლებთან ერთად, რომლებიც ისრაელში ცხოვრობდნენ. ჟიურის წევრები არა მხოლოდ ქართველი, არამდეც ისრაელის ძალიან ცნობილი კომპოზიტორები იყვნენ. მაშინ დავწერე სიმღერა „ორი სიყვარული“, ორ სამშობლოზე, რომელიც დღესაც ძალიან პოპულარულია. გავიმარჯვე და პირველი ადგილი ავიღე. მომდევნო წელსაც გაიმართა ეს ფესტივალი, უკვე თელ-ავივის დიდ საკონცერტო დარბაზში, განსხვავებული ფორმატით, კიდევ უფრო სერიოზული. მე არ მინდოდა მონაწილეობის მიღება. ორგანიზატორებს ვუთხარი, რომ გამოვიდოდი მხოლოდ სამხატვრო ნაწილში, ისე, როგორც წესი, პროტოკოლით. მოგვიანებით გავიგე ამბავი, რომელიც ჩემს კოლეგებს შორის გამართულა, თითქოსდა, მე არ ვკადრულობდი კონკურსში კიდევ ერთხელ მონაწილეობას. საბოლოოდ, კონკურსის ორგანიზატორი მოვიდა და მითხრა, რომ თუ მე არ გავიდოდი, ფესტივალი არ შედგებოდა, რადგან არავის არ სურდა გამოსვლა. იყო მითქმა-მოთქმა, დავთანხმდი მონაწილეობას, სიმღერა 4 დღეში კიდეც დავწერეთ, კიდეც ჩავწერეთ და კიდეც ვიმღერეთ. სიმღერას ერქვა „ბედის ვარსკვლავი“. იგივე მეათე ნომრით გამოვედი მეორე ფესტივალზეც, ეს თავიდანვე მოვითხოვე ორგანიზატორებისგან, ვიმღერეთ და მეორედაც გავიმარჯვეთ, ალბათ, ამიტომ მესამედ ეს ფესტივალი აღარ ჩაუტარებიათ. ამან მოიტანა პოპულარობაც. მას შემდეგ უკვე 35 წელია ვემსახურები ქართულ ხელოვნებას საქართველოს საზღვრებს გარეთ, ჩემს სამშობლოში და მთელს მსოფლიოში. როგორც გითხარით, 35 წელი გავიდა, თუმცა, ყველაზე რთული ამ დროის განმავლობაში არის ის რომ დარჩე იმ სიმაღლეზე, სადაც ახვედი, ალბათ, ის იყო ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა, რომ შევეცადე დავრჩენილიყავი იქ სადამდეც მივედი.

— ძირითადად ქართულენოვანი რეპერტუარი გაქვთ?

— მაქვს რუსული, ივრითული სიმღერებიც თუმცა, ძირითადად ქართულ სიმღერებს ვმღერი. ბედნიერი ვარ, მას შემდეგ, რაც საზღვრები გაიხსნა, კომუნიკაცია გამარტივდა. ქართველი კომპოზიტორები უფრო ხშირად მიწერენ სიმღერებს, რაც ჩემს სტილს, ჩემს რეპერტუარს შეეფერება. 4 შვილი მყავს, 8 შვილიშვილი, მაგრამ მაინც არ ვნებდები. ბევრი ქვეყანა შემოვიარე, და ყველგან

გავაჟღერე ქართული სიმღერა.

— საუბარში ახსენეთ, რომ ყველაზე რთულია შეინარჩუნო მიღწეული ადგილი, რა მიგაჩნიათ ყველაზე დიდ მიღწევად თქვენს მოღვაწეობაში?

— შარშან 25 დეკემბერს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩავატარე სოლო კონცერტი, გაიხსნა ჩემი სახელობის ვარსკვლავი. ეს იყო ჩემი კარიერის ყველაზე დიდი პიკი. მე არ ვიცი, რა შეიძლება იყოს ამაზე მეტი დაფასება, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი საქართველოს კულტურის პალატას, კულტურის სამინისტროს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

— რამდენად ხშირად გაქვთ კონცერტები?

— ვერ გეტყვით რომ კონცერტები სტაბილურადაა, მაგრამ ჩვენ გვაქვს დღესასწაულები, ჩვენთვის ესეც კონცერტია, ჩვენი შემოქმედება სხვადასხვა დღესასწაულზე ეს იგივე კონცერტია და შეიძლება ითქვას, უფრო მეტი დატვირთვა აქვს. ეს უფრო მეტი პასუხისმგებლობაა.

— თქვენი საყვარელი სიმღერა თქვენს რეპერტუარში?

— მიჭირს გამორჩევა, მე თვითონაც ხშირად ვწერ სიმღერებს, რომელიც გაჰიტებულია, ვცდილობ რამდენიმე კომპოზიტორთან ვიმუშაო ერთდროულად, რომ რეპერტუარი ერთფეროვანი არ გამოვიდეს, ყველა მათგანს მაინც თავისი ხელწერა აქვს.

— რომელ ქართველ კომპოზიტორებთან გიმუშავიათ?

— ჩემი უახლოესი მეგობარი და ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორია ჯემალ სეფიაშვილი, ასევე ნატო გელაშვილთან ვმუშაობ. ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორი გამოჩნდა ნინო ახვერდაშვილი, რომელმაც ორი ძალიან ლამაზი სიმღერა დამიწერა — „დედა“ და „დარდები“, რომლებიც უკვე გაჰიტებულია და ხშირად ისმის რადიო „არ დაიდარდო“-ზე. არ მინდა ვინმე გამომრჩეს, ქალბატონი თინა ნაცვლიშვილი, რომელიც არაჩვეულებრივ ტექსტებს წერს, ლილიკო ნემსაძე. ჩემთვის მთავარი არ არის ვინ დაწერა სიმღერა, მთავარია, რომ ის ჩემამდე მოვიდეს. როცა კომპოზიტორი გაძლეევს სიმღერას,ეს არის 30% იმისა, რაც უნდა გამოვიდეს საბოლოოდ.

— ახალ ალბომს ხომ არ ამზადებთ?

— ახალი ალბომი ჯერ არა, საკუთარ თავთან მიმართებაში ძალიან პრეტენზიული და მომთხოვნი ვარ, თუ მასალა და სიმღერა ის არ არის, რაც მე მინდა, არ გამოვუშვებ. ბოლოს შარშან გამოვიდა ჩემი ალბომი. მაქვს ახალი სიმღერები, რომლებსაც ახლა ვამუშავებთ. სიმღერა ჯერ უნდა ისწავლო, შეითვისო სანამ ამ ეტაპს არ მივაღწევ, მიჭირს სიმღერის ჩაწერა. ამიტომაც არ გამოდის ჩემი დისკი ყოველ ექვს თვეში ერთხელ. ამ თემაზე ყველა მომღერარს თავისი შეხედულება აქვს.

— გარდა მომღერლობისა, თქვენ ხართ ქართული ტელევიზიის დამაარსებელი ისრაელში.

— დიახ, მე შევქენი კიდევ ერთი განსაკუთრებული პროექტი, რომლის პრეცედენტი არ არსებობს მთელს მსოფლიოში. 11 წლის წინ გაიხსნა ისრაელის ქართულენოვანი სატელევიზიო არხი, რომელიც დღემდე 24 საათიანი მაუწყებლობით გადის ეთერში. რა თქმა უნდა, მასალების უმრავლესობა საქართველოდანაა, მაგრამ ჩვენს გვაქვს ადგილობრივი გადაცემებიც, რომელიც ჩვენ თემს უფრო მეტ ინფორმაციას აწვდის, თუ რა ხდება თემში და მის გარეთ.

— ძირითადად რა პრინციპით მუშაობს ტელევიზია? რა ტიპის გადაცემები გაქვთ?

— ყველა ტიპის გადაცემებია, გვყავს ფართო აუდიტორია 20000 აბონენტი ოჯახია ჩართული ჩვენთან. უპირველეს ყოვლისა, ეს არხი ახდენს ქართული კულტურის პოპულარიზაციას, ეთერში გადის ქართველი მომღერლების კლიპები, სიმღერები, კონცერტები. ამიტომაც ხდება, რომ ქართველი შემსრულებლები ყველაზე ხშირად ისრაელში მოდიან. მე მაქვს ჩემი გადაცემა „აქცენტი“ ეს არის თოქ-შოუ, სადაც ვსაუბრობთ სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, ვინვეევთ სხვადასახვა დარგის სპეციალისტებს და განვიხილავთ შესაბამის თემებს. სატელევიზიო ბადე მთლიანად დატვირთულია. გვაქვს აუდიო და ვიდეო სტუდია, ვმუშაობთ რაიკასტერზე, გვაქვს ვირტუალური სტუდია, მწვანე ფონი. ქართული ფილმები სულ მუდამ ტრიალებს. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვაქვს ქართული ფილმების ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა მთელს მსოფლიოში. მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ საქართველოში კინოარქივი დაიწვა, მაშინ ჩვენ დაახლოებით 10 ფილმის ორიგინალი საჩუქრად გადავეცით კინოსტუდიას. გვაქვს სერიალებიც, ყოველ ხუთშაბათს გადის რელიგიური გადაცემა, პირდაპირ ეთერში რაბინი ქართულად კითხულობს თორას და შაბათის ფარაშას გადასცემს მაყურებელს ქართულად, მათ, ვისაც კითხვა არ შეუძლია, ვინც სანოლს არის მიჯაჭვული, სინაგოგაში ვერ მიდის ა.შ.

— როგორია თქვენი ერთი სამუშაო დღე ისრაელში?

— ჩემი სამუშაო დღე კარგ შემთხვევაში იწყება 10 საათზე, მივდივარ ტელევიზიაში, ვამოწმებთ ყველაფერს, ვადგენთ სამომავლო გეგმებს, ვიღებთ გადაცემებს, თუ საღამოს კონცერტია, იქ მივდივარ და ა.შ.

— მინდა გკითხოთ: სად უფრო კარგად დგება კავშირი თქვენსა და აუდიტორიას შორის, საქართველოში თუ ისრაელში?

— სცენაზე. ფილარმონიის სოლო კონცერტამდე, ისრაელში მქონდა ძალიან დიდი, გრანდიოზული კონცერტი, რამაც გამაბედინა მემღერა ფილარმონიაში. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა ისრაელში ვიმღერებ, საქართველოსა თუ ამერიკაში. სცენა ერთია ჩემთვის. საამისოდ ძალიან ბევრი მტვერი მაქვს ნაყლაპი.

— ამჟამად რა მიზნით სტუმრობთ საქართველოს?

— ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, პატრიარქის იუბილისადმი მიძღვნილი, ჯემალ სეფიაშვილის შემოქმედებითი საღამო, „მიყვარხართ“. მე სპეციალურად ამ კონცერტში მონაწილეობისთვის ჩამოვედი, განახლებული არანჟირებით ვიმღერე ჯემალის სიმღერები და პარტიარქს ჩამოვუტანე ოფიციალური მილოცვა ისრაელის მთავარი რაბინისგან. მე პირადად პატრიარქთან დიდი ხნის ურთიერთობა და მეგობრობა მაკავშირებს. საქართველოში პირველად 1988 წელს ჩამოვედი, მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი, ვინც ისრაელის პასპორტით შემოვიდა საბჭოთა კავშირში. ეს კინორეჟისორ გია დანელიას დამსახურებაა. მზადდებოდა ფილმი „პასპორტი,“ რომელშიც მთავარი როლი უნდა მეთამაშა, მოსკოვში ამ მიზეზით ჩავედი. ბატონ გიას ვკითხე თბილისში რამდენი ხნით გამიშვებ თქო? მიპასუხა, წადი და 20 დღე მოსკოვში არ დაგინახოო. ჩამოსვლიდან მეორე დღესვე თემურ წიკლაურთან ერთად წავედი საპატრიარქოში. მაშინ გავიცანი უწმინდესი. მას შემდეგ გვაქვს ურთიერთობა. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ჩამომეტანა ისრაელის მთავარი რაბინის მილოცვა. ამჯერად ეს იყო ჩემი ჩამოსვლის მიზეზი. ისე საქართველოში საკმაოდ ხშირად ჩამოვდივარ, თბილისში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს

— ხომ არ გაქვთ დაგეგმილი შემდეგი ვიზიტი საქართველოში?

— დაგეგმილი არ არის, თუმცა, თუ ჩამოვალ, მხოლოდ სამუშაო ვიზიტით, რაც გულისხმობს ტელევიზიებთან და კომპოზიტორებთან ურთიერთობას, რაც შეხება ჩემს შემოქმედებას, ზაფხულში ბათუმში ვაპირებ კონცერტის ჩატარებას. შოუ ბიზნესში გაჩერების საშუალება არ გაქვს.

— ხომ არაფერს დაამატებდით, „მენორას“ მკითხველს ხომ არაფერს ეტყოდით?

— ძალიან მიხარია, რასაც დღეს საქართველოში ვხედავ, ცხადია, კიდევ საჭიროა დრო, მაგრამ გლობალური პრობლემების გადაწყვეტა დაწყებულია. ნელ-ნელა ყველაფერი ლაგდება და წყნარდება. პოლიტიკური ასპარეზისთვის კი ეს კინკლაობა ჩვეული მომენტია. ხალხი ნელ-ნელა წელში იმართება, კიდევ უფრო მეტი შრომისმოყვარეობაა საჭირო, როცა საკუთარი თავისთვის რამეს აკეთებ, იმასაც ნიშნავს, რომ სამშობლოსთვის აკეთებ. საქართველოს აქვს წინსვლის ყოველმხრივი პოტენციალი — ინტელექტუალური დემოგრაფიული. კარგი ამბავია, რომ ვიზალიბერალიზაცია მოხდა.

რაც შეეხება „მენორას“ ძალიან დიდი ხანია ვიცნობ, ძალიან მიხარია, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური ცვლილებებიდან გამომდინარე, ბეჭდვითი მედია არ ნებდება და „მენორა“ ისევ ანთია.

მე მინდა ჩემს სამშობლოს ვუსურვო ბედნიერება, „მენორას“ მკითხველს დიდი სიყვარული, მივულოცო ყველა დღესასწაული ქართული თუ ებრაული. მინდა რომ კეთილმა ხალხმა კარგად იცხოვროს დედამიწაზე, როცა კარგს აკეთებ, ცუდი არ უნდა შეგემთხვეს. დიდი მადლობა ასეთი ვრცელი ინტერვიუსთვის.

— მადლობა თქვენ.

— წარმატებებს გისურვებთ!

ჩაიწერა თაკო აბესაძემ

სარა ნეთანიაჰუს დაკითხვა პოლიციაში

ისრაელის პრემიერ-მინისტრის მეუღლე სარა ნეთანიაჰუ 31 დეკემბრის საღამოს სახელმწიფოს პოლიციის „ლახავ-433“ განყოფილებაში დაკითხვაზე გამოცხადდა. პოლიცია იძიებს საფინანსო ანგარიშის წარდგენისას თაღლითური გზით მიიღო თუ არა სარამ სარგებელი დოკუმენტების ფალსიფიცირებით. სარა ნეთანიაჰუს დაკითხვის ნებართვა გასცა მთავრობის იურიდიულმა მრჩეველმა იეჰუდა ვაინშტაინმა.

პოლიციას ეჭვი აქვს, რომ პრემიერ-მინისტრის მეუღლემ კეისარიაში იმ ვილის კუთვნილი რემონტი, რომელიც მასა და მის მეუღლეს ეკუთვნით, სამთავრობო რეზიდენციის ხარჯების ნუსხაში შეიტანა. მას იმ საჩუქრების თაობაზეც დაუსვეს შეკითხვები, რომლებიც წლების განმავლობაში პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან თუ კერძო პირთაგან მიიღო.

გამოძიებას ნაწილობრივ სათავე დაუდო სახელმწიფო კონტროლიორის მოხსენებაში მოყვანილმა რამდენიმე ფაქტმა.

კიპა მოიხადეთ მანამ სანამ...

11 იანვარს მარსელის სინაგოგასთან თავს დაესხნენ ებრაული სკოლის პედაგოგს. თავდამსხმელი დაპატიმრების შემდეგაც არ ფარავდა ებრაელობისადმი ზიზღს.

12 იანვარს მოჰკლეს 73 წლის ალენ გოზლანი — ქალაქის ებრაული თემის დამაარსებლის შვილი, დღეს კი მარსელის მერის მრჩეველი

იმავე დღეს ქალაქ მარსელის ებრაული თემის მეთაურმა რაბინმა ცვი ამარმა ქალაქის ებრაელებს — მარსელში შვიდი ათასი ებრაელი ცხოვრობს — მოუნოდა „კიპა მოიხადეთ, თავზე არ დაიხურონ, იარონ კიპის გარეშე მანამ სანამ საფრანგეთში უკეთესი დრო არ დადგება“.

— დღეს როცა ებრაელობა ვდგავართ ასეთი დიდი საშიშროების წინაშე, უნდა მივიღოთ საგანგებო გადაწყვეტილება. მივიჩნევ, რომ სიცოცხლის შენარჩუნება ყველაფერ დანარჩენზე უფრო მნიშვნელოვანია“.

რაბი ცვი მაგენმა აღნიშნა,რომ ებრაელები გახდნენ თავდასხმების მსხვერპლნი, თემის ის წევრები, რომლებიც თავის ებრაელობას არ ფარავენ, შესაძლოა სცემონ, ან მოჰკლან კიდეც. საფრანგეთის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ებრაელთა უშიშროებისათვის, ჩვენ მათ მეტს ვერ მოვთხოვთო „ხელისუფლებას არ შეუძლია ყოველ ებრაელს დაცვა მიუჩინოს“.

კიპა არ მოიხადოთ!

ისრაელის აშქენაზ ებრაელთა მთავარმა რაბინმა დავით ლაუმ ევროკავშირის პოლიტიკოსებს მოუნოდა ისრაელსა და ისრაელის ირგვლივ თავი შეიკავონ ისრაელის გაკრიტიკებისაგან. „თქვენი ეს კრიტიკა ევროპის ქვეყნებში ფაქტიურად ძალადობის, ანტისემიტური ქმედებების წაქეზებად აღიქმება.“

ლოგორც რადიოსადგური „კოლ ისრაელი“ იუწყება, დავით ლაუმ ევროპის ებრაელობას მოუწოდა, ნუ შედრკებიან,პანიკას ნუ აჰყვებიან ანტისემიტური თავდასხმების შიშით კიპას ნუ მოიხდიან

„კიპა არ მოიხადოთ. კიპა ჩვენ გვიცავს, შეგვახსენებს, რომ უზენაესი გვიცავს, არავის, არასოდეს არ მივცემთ უფლებას შეგვაწყვეტინოს ცხოვრების ებრაული წესი“.

ფრანგმა დეპუტატებმა კიპა დაიხურეს

მას შემდეგ, რაც მარსელის მთავარმა რაბინმა ქალაქში მცხოვრებ ებრაელებს მოუწოდა უსაფრთხოების მიზნით კიპები მოიხადეთო, საფრანგეთის პარლამენტის ორი დეპუტატი ბურბონების სასახლეში „სადაც ეროვნული კრების სხდომა მიმდინარეობდა, კიპით მოვიდა.

— მე ებრაელი არა ვარ, მაგრამ ებრაელებთან სოლიდარობის მიზნით, ეროვნული ასამბლეის შენობაში კიპით მივედი.

მარსელის მთავარმა რაბინმა ცვი ამარმა კი განაცხადა:

— ჩემთვის ერთობ მოულოდნელი იყო ის,რომ ჩემთან მოვიდნენ არაებრაელები, ფრანგები და მითხრეს, ებრაელობასთან სოლიდარობის ნიშნად, დღეიდან კიპით ვივლითო.სასიხარულოა იმის გაგება, რომ არა მხოლოდ ებრაული თემის წევრები, არაებრაელნიც გვიჭერენ მხარს. ცვი ამარმა ისიც დასძინა, სახელმწიფოს სპეცსამსახურები ებრაელთა დასაცავად ყველაფერს აკეთებენო.

საფრანგეთის პრეზიდენტის — ფრანსუა ოლანდის აზრით...

13 იანვარს საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ აუტანელია სიტუაცია, როცა საფრანგეთის ებრაელები იძულებული ხდებიან დაფარონ თავიანთი აღმსარებლობა, აუტანელია, სიტუაცია როცა აღმსარებლობის გამო ადამიანს შეიძლება თავს დაესხან.ამის გამო იძულებული ხდებიან დაფარონ თავიანთი წარმომავლობა.

რეკორდული მაჩვენებელი

იმდენი ებრაელი, რამდენიც გასულ წელს სამუდამო საცხოვრებლად დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ისრაელში ჩავიდა, მსოფლიოს ამ რეგიონიდან აღოქმულ ქვეყანაში, არასოდეს გადასახლებულა. ამაზე მეტყველებს „სოხნუთის“ მონაცემები — 2015 წელს დასავლე ევროპიდან ისრაელში ჩავიდა 9800 ადამიანი. ამათგან დიდი უმეტესობა საფრანგეთიდანაა, ამას მოსდევს დიდი ბრიტანეთიდან ჩასული ებრაელობა — 800 ადამიანი, მერე იტალიიდან და ბელგიიდან ჩასული ებრაელობაა.

„სოხნუთის“ თავმჯდომარემ ნათან შჩარანსკიმ ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

— შექმნილი სიტუაცია, უწინარეს ყოვლისა, ევროპის ლიდერებს უნდა აწუხებდეთ, ისინი უნდა დაფიქრდნენ თავთავიანთი ქვეყნების მომავალზე.

იოსებ ზისელსს — მედალი „ჩერნოვიცელთა სადიდებელი“

16 იანვარს ჩერნოვიცის ქალაქისთავმა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს, უკრაინის „ვაადის“ და ჩერნოვიცის საზოგადოებრივ-კულტურული ფონდის თავმჯდომარეს იოსებ ზისელსს გადასცა მედალი „ჩერნოვიცელთა სადიდებელი“

„ჩერნოვიცელთა სადიდებელი“ გახლავთ ჩერნოვიცის საქალაქო საბჭოს საპატიო მედალი, რომელიც მიენიჭებათ უკრაინისა და უცხოეთის ქვეყნების იმ მოქალაქეებს მნიშვნელოვანი წვლილი რომ შეიტანეს ამ ქალაქის განვითარებაში, ხელი შეუწყეს მის კულტურულ ეკონომიკურ განვითარებას. მედალი 2007 წელსდაარსა ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ ქალაქის ისტორიის ანალებში მოხსენიების 600წლისთავთან დაკავშირებით.

ექსპრემიერი ციხეში

ამ ბოლო თვეების განმავლობაში ისრაელში ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ ისრაელის ექსპრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი, რომელსაც ორი გახმაურებული კორუფციული სკანდალის გამო პატიმრობა მიუსაჯეს, ციხეში არ არისო.

განაჩენი უმაღლეს სასამართლოში გახლდათ გასაჩივრებული.

30 დეკემბერს ისრაელის უმაღლესმა სასამართლომ განიხილა ოლმერტის საჩივარი „ჰოლილენდის საქმის“ გამო. მას მოეხსნა რიგი ბრალდებებისა და მიესაჯა ერთი წლისა და ექვსი თვის პატიმრობა.

ეჰუდ ოლმერტს სასჯელის მოხდა 15 იანვრიდან დაეკისრა.

ეჰუდ ოლმერტის ადვოკატებმა ის განაჩენიც გაასაჩივრეს, რომლის მიხრდვითაც მას 6 წლის პატიმრობაც აქვს მისჯილი — ბრალად ედება ასი ათასობით შეკელის ქრთამად აღება. ამ საკითხს უმაღლესი სასამართლო უახლოეს ხანს განიხილავს.

ამასთან ერთად, მკითხველს შევახსენებთ, რომ სექსუალური სკანდალის გამო უკვე კარგა ხანია შვიდწლიან სასჯელს იხდის სახელმწიფოს ყოფილი პრეზიდენტი მოშე კაცავი.

თბილისის დიდი ბეით ქნესეთის ჯამაათი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ყოფილ მთავარ რაბინს — არიელ ლევინს დედის

— ქ-ნი **ზინაიდას**

გარდაცვალების გამო.

თბილისის ბეით ქნესეთი „ბეით რახელის“ ჯამაათი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ყოფილ მთავარ რაბინს — არიელ ლევინს დედის

— ქ-ნი **ზინაიდას**

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ყოფილ მთავარ რაბინს — არიელ ლევინს დედის

— ქ-ნი **ზინაიდას**

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11Ა,

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმიდის რაიონის სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557

9771987898003